სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

10 ივლისი 2026

N 475/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ქალაქ თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ის მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2010 წლის 24 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ქალაქ თბილისის მერიის საქმიანობაზე – ქალაქ თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მოწყობა და ექსპლუატაცია – გაცემულია №12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

2016 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით ნარჩენების მართვის ორგანიზება დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ იურიდიულ პირს, შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს.

ქალაქ თბილისის მერიის საქმიანობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული №12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2019 წლის 8 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ქალაქ თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-625).

სკრინინგის განცხადების თანახმად, ქალაქ თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონი განთავსებულია ქალაქ თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით (სოფელ დიდი ლილოს აღმოსავლეთით) და იგი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მიღებას და სპეციალურ უჯრედებში განთავსებას. ნარჩენების პოლიგონზე ყოველდღიურად საშუალოდ 1 000 ტონაზე მეტი საყოფაცხოვრებო ნარჩენი თავსდება. ნარჩენების პოლიგონი აღჭურვილია უჯრედებიდან ნაჟური წყლების შეგროვების და გამწმენდ ნაგებობაში მიწოდების, ასევე ჩამდინარე წყლების გაწმენდის სისტემითა და ნაჟური წყლების შესაგროვებელი რეზერვუარებით. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, გაწმენდილი ნაჟური წყლების

ნაწილის ჩაშვება გათვალისწინებულია ზედაპირული წყლის ობიექტში. არსებული მდგომარეობით, შესაგროვებელი რეზერვუარებიდან ნაჟური წყლები უჯრედს მიეწოდება და ზედაპირის მოსარწყავად გამოიყენება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნარჩენების პოლიგონიდან უახლოესი დასახლებული პუნქტებია სოფელი დიდი ლილო და სოფელი ნასაგური, რომლებიც ნაგავსაყრელიდან 1 კილომეტრზე მეტი მანძილით არის დაშორებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნარჩენების პოლიგონზე არსებული გამწმენდი ნაგებობა გამოსულია მწყობრიდან, რაც საფრთხეს უქმნის ნაგავსაყრელის ნორმალურ ფუნქციონირებას. შესაბამისად, შპს „თბილსერვის ჯგუფი“ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, რაც არსებული გამწმენდი ნაგებობის ახალი გამწმენდი ნაგებობით ჩანაცვლებას გულისხმობს. ნარჩენების პოლიგონისთვის განკუთვნილი ტერიტორიიდან ახალი გამწმენდი ნაგებობის განსათავსებლად გამოყენებული იქნება 81.09.33.400 და 81.09.33.397 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნაწილი. ახალი გამწმენდი ნაგებობა მოეწყობა ნაჟური წყლების შემკრები არსებული რეზერვუარების მიმდებარედ და იგი ნაჟური წყლების წყალშემკრებ სისტემასთან იქნება დაკავშირებული. გამწმენდი ნაგებობის ინფრასტრუქტურა ასევე მოიცავს მიმღებ და გამცემ უჯრედებს, მილსადენების მიერთებებს, მისასვლელ გზასა და საპარკინგე ადგილს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაჟური წყლების მოცულობის მოდელირების შედეგად, დასამუშავებელი ნაჟური წყლების რაოდენობა 150 $მ^3$/დღე-ს შეადგენს. პირველ ეტაპზე განხორციელდება ნაჟური წყლების დაბალანსება/გადარევის პროცესი. ნარჩენების პოლიგონზე არსებულ რეზერვუარებში დაგროვილი ნაჟური წყლები პრეჰომოგენიზაციის შემდეგ შევა 130 $მ^3$ მოცულობის ცენტრალურ შემრევ რეზერვუარში, რომელიც გათვლილია ყოველდღიურად ნახევარი დღის განმავლობაში გენერირებული სითხის მიღებაზე. აღნიშნული რეზერვუარი საშუალებას იძლევა, რომ დაბალანსდეს/დასტაბილურდეს შემავალი გასაწმენდი სითხის ფლუქტუაცია. აღნიშნულის შემდგომ წყალი გადავა კალათისებრ ფილტრებში, ხოლო ფილტრებიდან – მემბრანულ ბიორეაქტორში, სადაც პრე-დენიტრიფიკაციის პროცესი განხორციელდება. შემდგომ ეტაპზე ხსნარი გადავა აერაციის აუზებში, სადაც მოხდება ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილების, ჟანგბადის ბიოლოგიური მოთხოვნილების და ამონიუმის აზოტის მაჩვენებლების შემცირება აერაციის მეთოდების გამოყენებით. გაწმენდის პროცესი დასრულდება ბიოფილტრაციით, რა დროსაც მოხდება ბიომასის გამოყოფა ულტრაფილტრაციის მეთოდების გამოყენებით. ულტრაფილტრაციის შემდეგ გაწმენდილი სითხე შეგროვდება სპეციალურ რეზერვუარში და გაივლის ნანოფილტრაცია/უკუოსმოსის პროცესს, რის შემდგომაც დამუშავებული წყლის ნაწილი ნარჩენების პოლიგონის სისტემაში დაბრუნდება და უჯრედების მოსარწყავად იქნება გამოყენებული, ხოლო ნაწილი (40-60 $მ^3$/დღე), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-სთან შეთანხმების საფუძველზე, ქალაქ თბილისის წყალარინების ქსელში იქნება ჩაშვებული.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ადგილმდებარეობის, სპეციფიკის და მასშტაბის გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გამწმენდი ნაგებობის ოპერირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხების ცვლილებას არ უკავშირდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შედეგად გაწმენდილი ნაჟური წყლები ზედაპირული წყლის ობიექტის (მშრალი ხევი) ნაცვლად ქალაქ თბილისის საკანალიზაციო სისტემაში იქნება ჩაშვებული, ზედაპირული წყლის ობიექტზე მოსალოდნელი ზემოქმედება შემცირდება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არსებული ნარჩენების პოლიგონის ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე განხორციელდება.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში და სამგორის რაიონის გამგეობაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ქალაქ თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს**.

2. შპს „თბილსერვის ჯგუფი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 8 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2-625 ბრძანება) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.

3. შპს „თბილსერვის ჯგუფი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა.

4. შპს „თბილსერვის ჯგუფი“ ვალდებულია, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვა განახორციელოს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

5. შპს „თბილსერვის ჯგუფი“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 8 ივლისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-625) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.

6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/475-21-4-202607101454